№2606 2015 წლის 4 დეკემბერი ქ. თბილისი

კაპიტალური პროექტებისა და სამედიცინო აპარატურისათვის დაგეგმილი გადასახდელების მიმდინარე დანიშნულების ხარჯებში გადატანის თაობაზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულების მე-6 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიეცეს თანხმობა, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად დამტკიცებული 27 02 02 პროგრამული კოდით (სრულყოფილი პრობაციის სისტემა) გათვალისწინებული „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 892 000 (რვაას ოთხმოცდათორმეტი ათასი) ლარი და 27 04 პროგრამული კოდით (ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო

მომსახურებით უზრუნველყოფა) გათვალისწინებული „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან 433 000 (ოთხას ოცდაცამეტი ათასი) ლარი გადაიტანოს 27 02 01 01 02 პროგრამული კოდით (ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) გათვალისწინებულ „საქონლისა და მომსახურების“ მუხლში.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**